KA030112016935017

№ 01-18569 **23 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის
ნინო ბერძულის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის XXII თავის შესაბამისად, უსაფრთხო დედობა, ბავშვთა სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირების სამედიცინო ასპექტების მართვა, ბავშვებისათვის რეალურად შესაძლო უმაღლესი დონის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პრიორიტეტული ამოცანაა.

საქართველოს მთავრობის მიერ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედითი ინიციატივებისა და გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად, საქართველომ გადაჭარბებით შეასრულა ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზანი და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შეამცირა 48-დან 1990 წელს - 12-მდე 2015 წელს 1000 ცოცხალშობილზე, ნაცვლად სამიზნე - 16-ისა. თუმცა ვერ მოხერხდა მე-5 მიზნის შესრულება - დედათა სიკვდილიანობის სამი მეოთხედით შემცირება. უკანასკნელ წლებში აღნიშნული კლების ტენდენციის მიუხედავად, დედათა, ჩვილ ბავშვთა და ნეონატალური სიკვდილიანობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებლებს (შესაბამისად 16, 5 და 3 - 2015 წელს).

ყოველივე ზემოანიშნულიდან გამომდინარე, გადამწყვეტ როლს იძენს დედათა და ახალშობილთა სიცოცხლის გადარჩენისკენ მიმართული სტრატეგიის არსებობა, რომლის მიზანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ეფექტური ინტერვენციების შენარჩუნება და გაფართოება დედათა და ახალშობილთა გადარჩენის და მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. ისევე, როგორც მათთან უშუალოდ დაკავშირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს გაძლიერება და მაღალი ხარისხის სერვისებზე უნივერსალური/ საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს სამ მიმართულებას და შემდეგ ამოცანებს:

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა:

ამოცანა 1: 2030 წლისთვის ყველა ქალს ექნება უნივერსალური წვდომა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ჩასახვამდელ, ანტენატალურ, სამეანო, ნეონატალურ და მშობიარობისშემდგომ მომსახურებაზე;

ამოცანა 2: 2030 წლისთვის დედათა და ახალშობილთა სამედიცინო მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდება, მოხდება სერვისების ინტეგრაცია და სტანდარტიზაცია;

ამოცანა 3: 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცოდნა ჯანსაღი ქცევის, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სტანდარტებისა და პაციენტთა უფლებების შესახებ.

ოჯახის დაგეგმვა:

ამოცანა 4: 2030 წლისთვის ოჯახის დაგეგმვის სერვისები ადვილად ხელმისაწვდომი იქნება ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე პირისათვის;

ამოცანა 5: 2030 წლისთვის ოჯახის დაგეგმვის სერვისების ხარისხი დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

ახალგაზრდების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა:

ამოცანა 6: 2030 წლისთვის ახალგაზრდებისათვის სრულად ხელმისაწვდომი იქნებაასაკის შესაბამისი განათლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე;

ამოცანა 7: 2030 წლისთვის ახალგაზრდებს ექნებათ სრული წვდომა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე.

წარმოგიდგენთ, საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის და მისი განხორციელების 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმის პროექტს. გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას სტრატეგიის პროექტის მთავრობის კანცელარიაში გადაგზავნის თაობაზე. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს, უზრუნველყონ საჭირო პროცედურები.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ნინო ბერძული